

**Max von Thielmann. Streifzüge im Kaukasus, in Persien und in der Asiatischen Türkei von Freiherr
Max von Thielmann. DR. JURIS, Mit fünf Holzschnitt-Tafeln, Illustrationen im Texte und einer
Uebersichtskarte. Leipzig, Verlag von Duncker & Humboldt, 1875.**

Mit dem Platze am Theater schliesst Europa ab; wenige Schritte davon stehen wir mitten in Asien; hier ist der Bazar, der Brennpunkt des orientalischen Lebens Er ist, unähnlich den Bazaren in grösseren persischen oder türkischen Städten, nicht ein Complex von sich kreuzenden gewölbten oder wenigstens durch Matten vor der Sonne geschützten Hallen, sondern nur ein Gewirr enger Gassen und niedriger Häuser, deren Vorderseite ganz von Werkstätten eingenommen ist, welche zugleich als Läden dienen; das Schaufenster wird erspart, denn alles, was im Laden vorräthig, ist offen aufgehängt oder aufgeschichtet. Wenn der Bazar sich sonach freilich mit den prächtigen Marmorhöfen in Damascus oder den endlosen gewölbten Hallen in Baghdad und Tebriz nicht messen kann, so steht er ihnen an mannichfaltigem Interesse doch nicht nach. Zuerst das bunte Leben und Treiben der verschiedenen Völker. Der verschmitzte Armenier, der Herr des gesammten kaukasischen Handels, vielfach schon europäisch gekleidet, das stets vergnügte und weinselige Gesicht des Grusiners, der rothbärtige Tatar mit riesiger Schaffellmütze, der hagere hochgewachsene Perser, den seine schwarze Kullah noch einen Fuss höher erscheinen lässt, meist in die gelbbraune, bis zu den Knöcheln reichende Abbâ gehüllt: das sind die ständigen Typen des Verkehrs. Dazu gesellt sich allerlei wild aussehendes Volk: Osseten aus dem benachbarten Gebirge, untersetzte Tuschinen, an ihren schwarzen Filzkappen kenntlich, Lesghier mit ihren scharfgeschnittenen Gesichtern und kühnen Adlernasen, und als Contrast der deutsche Colonist in seiner altväterischen Tracht, und mit seinen Leiterwagen und Kummetschirren; dass auch russische Uniformen und europäische Civilkleider nicht fehlen, ist natürlich. Von Sonnenaufgang bis zum Abend, mit Ausnahme der heissen Mittagsstunden, drängt und schiebt sich die Menge, bietet und feilscht, und unverständlich ist es dem Neuling, wie bei dem Gewühl und Lärm ein Handel möglich ist. Die Verkäufer haben im Verkehr mit Fremden überhaupt ein gutes Theil der Zurückhaltung verloren, welche dem orientalischen Kaufmann sonst eigen ist; während in Persien nie ein Verkäufer sich herablässt, seine Waaren dem Fremden anzupreisen, oder gar ihn zum Kauf zu drängen, wird in Tiflis der Europäer bei den Goldschmieden und Schwertfegern oft in zudringlicher Weise zum Kauf eingeladen. Dass der Unerfahrene auf das schmachlichste übertheuert wird, gilt dem Orientalen als selbstverständlich; man thut daher wohl, sich nur unter kundiger Führung in Handel einzulassen, und vor Allem nie merken zu lassen, dass irgend ein Stück einem besonders gefällt: dessen Preis würde augenblicklich auf das Dreifache steigen. (179-180)

ევროპა თეატრის მოედანზე მთავრდება; რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით ჩვენ აზიაში ვართ; აქ არის ბაზარი, აღმოსავლური ცხოვრების ცენტრი. სპარსეთის ან თურქეთის დიდი ქალაქების ბაზრებისგან განსხვავებით, ეს არ არის ერთმანეთში გამავალი თაღოვანი დარბაზების კომპლექსი, ან თუნდაც მზისგან ფარდაგებით დაცული, არამედ მხოლოდ ვიწრო ქუჩებისა და დაბალი სახლების ლაბირინთია, რომლის ფასადი მთლიანად სახელოსნოებითაა დაკავებული, რომლებიც დუქნებადაც ემსახურებათ; დუქნებს ვიტრინა არ აქვთ, რადგან იქ ყველაფერი ღიად ჩამოკიდებულია ან იქვე დევს. თუ ბაზარი ვერ უწევს კონკურენციას დამასკოს მარმარილოს დიდებულ ეზოებს ან ბაღდადისა და თავრიზის გაუთავებელ თაღოვან დარბაზებს, ის მათ მრავალი თვალსაზრისით არ ჩამოუვარდება. ჯერ სხვადასხვა ხალხის მრავალფეროვანი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ [ვთქვათ]. ეშმაკი სომეხი, მთელი კავკასიური ვაჭრობის მბრძანებელი, ხშირად უკვე ევროპულ სამოსში გამოწყობილი,

ქართველის მუდამ ხალისიანი და ღვინის მოყვარული სახე, წითელწვერა თათარი უზარმაზარი კრაველის ქუდით, გამხდარი, მაღალი სპარსელი, რომლის შავი ქულა (Kullah)¹ მას ერთი თავი უფრო მაღალს აჩენს, ძირითადად, ტერფებამდე ყვითელ-ყავისფერ აბაშია (Abbâ)² გამოწყობილი: ეს არის მუდმივად მოძრავი სახეები. მათ უერთდებათ ყველანაირი ველური გამომეტყველების ხალხი: ოსები მეზობელი მთებიდან, ჩასკვნილი თუშები, რომლებსაც მათი შავი თექის ქუდებით შეიცნობ, ლეკები მკვეთრად გამოკვეთილი სახეებითა და არწივის ცხვირით და ამის კონტრასტია გერმანელი კოლონისტი თავის ძველმოდურ კოსტიუმში, რომლის თარგსა და ფერს კეთილსინდისიერად ინარჩუნებენ; რა თქმა უნდა, აქ არის რუსული მუნდირები და ევროპული სამოქალაქო ტანსაცმელიც. აისიდან დაისამდე შუადღის ცხელი საათების გარდა, ბრბო ერთმანეთს ეჯახება, გვთავაზობს და ვაჭრობს, ახალბედასთვის კი გაუგებარია, რომ გარიგება ხალხმრავლობისა და ხმაურის შუაგულშიაც შესაძლებელია. უცხოელებთან ურთიერთობისას გამყიდველებმა საკმაოდ დაკარგეს თავშეკავება, რაც, აღმოსავლელ ვაჭარს ახასიათებს; მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთში არც ერთი გამყიდველი არასოდეს ინებებს უცხოს შესთავაზოს თავისი ნაწარმი ან თუნდაც იგი ყიდვაზე აიძულოს, ტფილისში ევროპელებს ხშირად დაჟინებით იწვევენ ოქრომჭედლებთან და მეიარაღეებთან საყიდლად. აღმოსავლელი ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევს, რომ გამოუცდელ ადამიანს გაცილებით მაღალი ფასი უთხრას; ამიტომ ვაჭრობა კარგია მხოლოდ მცოდნეს ხელმძღვანელობით და, უპირველეს ყოვლისა, არასოდეს დაანახოთ, რომ რომელიმე ნივთი განსაკუთრებით მოგწონთ: მისი ფასი მაშინვე სამჯერ გაიზრდება. (179-180)

Die Stadttheile auf dem linken Kura-Ufer bieten weniger interessantes; dem Bazar gegenüber liegen ziemlich unansehnliche grusinische Quartiere, überragt von einer altersgrauen kleinen Kirche, die hoch über dem Fluss auf senkrechtem elsen erbaut, auf das bunte Gewühl auf den beiden Brücken und die reissenden Wirbel der Kura herabschaut. Jenseit der oberen Brücke steht das Standbild des Fürsten Worontzoff, Statthalters im Kaukasus, dem die Stadt vielen Dank schuldet; er ist derselbe, auf dessen Werke man auch in der Krym allenthalben stösst. Von hier aus führen russische Strassen nach dem oberen Ende der Stadt, und plötzlich steht man wieder vor einem gänzlich veränderten Bilde; eine breite Allee mit freundlichen kleinen Häusern und sauber gehaltenen Gärten zieht sich fast eine halbe Stunde weit hinaus. Es ist die deutsche Colonie, in den zwanziger Jahren von ausgewanderten Würtembergern gegründet; im Gegensatz zu den im Lande zerstreuten deutschen Dörfern, deren Bewohner ausschliesslich das Land bebauen, findet man hier in Deutsch-Tiflis nur Handwerker, welche dank ihrem Geschick und ihrem Fleiss durchweg auf einen grünen Zweig gekommen sind; ihre Anzahl belief sich 1865 auf 600 Seelen. Dass der Colonie eine Bierbrauerei nicht fehlt, ist selbstverständlich, und ihr Erzeugniss erfreut sich gleichen Lobes bei Deutschen, Russen und Grusinern; selbst der armenische Archimandrit, welcher uns in Etschmiadzin aufnahm, sehnte sich im Stillen von seiner geistlichen Würde und dem schweren bouquetlosen Etschmiadziner Wein nach seiner Studienzeit in Tiflis und den Abenden im Biergarten zurück. Auch wir verlebten hier in Gesellschaft von Landsleuten gemüthliche Stunden, und hätten uns wohl in die Heimath zurückdenken können, wenn nicht die ungewohnten Klänge grusinischer Musiker uns an den Orient gemahnt hätten. Das Trio bestand aus Clarinette, Guitarre und Tambourin, und ihr Lied konnte Steine erweichen; während die letzteren in einförmiger Weise begleiteten, erging sich der Bläser in einer

¹ ქულა (Kullah) – მამაკაცის ქსოვილის კონუსის ფორმის ქუდი.

² მაქს ფონ თელმანი უზუსტობას უშვებს, რადგან აბა (Abbâ), ქალების ფართო სამოსია ახლო აღმოსავლეთში.

quäkenden Melodie ohne Ende und Abschluss; seine Kunst bestand vornehmlich darin, durch die Nase Athem zu schöpfen, während der Mund unablässig weiter blies, ein Kraftstück, welches ihm nach der Versicherung eines anwesenden deutschen Kapellmeisters kein europäischer Musiker nachmachen würde. Oberhalb der deutschen Colonie liegt noch der Bahnhof der Eisenbahn nach Poti, und ein öffentlicher Garten, von einem aus Persien verbannten Muschtehid (hohem kirchlichen Würdenträger) gestiftet, und nach ihm Muschtehide genannt. Im Frühjahr ist er allabendlich der Sammelpunkt der Tifliser Welt; jetzt jedoch hatte die Hitze Alles in das Gebirge verscheucht, und im Garten war keine Seele zu finden. Die besuchteste der Sommerfrischen ist das nur eine Meile südwestlich von der Stadt gelegene Kadshory; ein grosser Theil der Gesellschaft geht aber auch weiter nach der Waldeinsamkeit von Borshom oder Abastuman; das nahe Kachetien jedoch mit seinen herrlichen Punkten scheint bis jetzt von den Russen noch gänzlich unberücksichtigt gelassen zu werden. (183-184)

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ქალაქის ნაწილები ნაკლებად საინტერესოა; ბაზრის პირდაპირ საკმაოდ შეუხედავი ქართული უბნებია, რომლებსაც დროით განმავლობაში განაცრისფრებული პატარა ეკლესია დაჰყურებს; ის მდინარის თავზე, ვერტიკალურ ფერდობზეა აშენებული და დომინირებს ორ ხიდზე [მოდრავე] ჭრელ ბრბოსა და მტკვრის მორევეზე. ზემო ხიდის მახლობლად დგას კავკასიის მეფისნაცვლის თავადი ვორონცოვის ქანდაკება, რომელსაც ქალაქი დიდად უმადლის; ეს ის ადამიანი, რომლის ნამუშევრები ყირიმში ყველგან გვხვდება. აქედან რუსული გზები ქალაქის ზედა ნაწილში მიდის და ერთბაშად სულ სხვა სურათი წარმოგვიდგება; ფართო ხეივანი სასიამოვნო პატარა სახლებითა და მოწესრიგებული ბაღებით თითქმის ნახევარი საათის სიარულის განმავლობაში გრძელდება. ეს არის გერმანიის კოლონია, რომელიც 20-იან წლებში [XIX საუკუნის] ემიგრანტი ვიურტემბერგელების მიერ დაარსდა; მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმოფანტული გერმანული სოფლებისგან განსხვავებით, რომელთა მცხოვრებლები მხოლოდ მიწას ამუშავებენ, აქ, გერმანულ ტფილისში, მხოლოდ ხელოსნები არიან, რომლებიც თავიანთი ოსტატობისა და შრომისმოყვარეობის წყალობით მუდმივად აღწევენ წარმატებას; 1865 წელს მათი რიცხვი 600 სული იყო. რა თქმა უნდა, კოლონიაში არის ლუდსახარში და მისი ნაწარმი ერთნაირად მოსწონთ გერმანელებს, რუსებსა და ქართველებს; სომეხი არქიმანდრიტიც, რომელმაც ეჯმიადინში მიგვიღო, ჩუმად ნაღვლობდა თბილისში გატარებული დროის, ლუდის ბაღში გატარებულ საღამოებისა და მძიმე, ბუკეტის არმქონი ექმიანური ღვინის გამო. თანამემამულეების გარემოცვაში აქ ჩვენც სასიამოვნო საათები გავატარეთ და, ალბათ, შეგვეძლო კვლავ გავგვხსენებინა ჩვენი სამშობლო, რომ არა ქართველი მუსიკოსების უჩვეულო ხმები, რომლებიც აღმოსავლეთს გვახსენებდნენ. ტრიო კლარნეტის³, გიტარისა და ტამბურისაგან⁴ შედგებოდა და მათ სიმღერას ქვების დაშლაც კი შეეძლო; სანამ ეს უკანასკნელი მონოტონურად უწევდა აკომპანემენტს, სასულე ინსტრუმენტზე დამკვრელი უსასრულოდ ტკბებოდა მკივანა მელოდიით; არსებითად, მისი ხელოვნება ცხვირით სუნთქვაში მდგომარეობდა და ის განუწყვეტლივ აგრძელებდა მასში ჩაბერვას – საგმირო საქმეს, რასაც იქ მყოფი გერმანელი კაპელმეისტერის რწმუნებით, ვერც ერთი ევროპელი მუსიკოსი ვერ მიზაძავდა. გერმანიის კოლონიის ზემოთ ჯერ კიდევ მდებარეობს ფოთისკენ მიმავალი რკინიგზის სადგური და სპარსეთიდან განდევნილი მოჯთაჰედის⁵ (Muschtehid)

³ კლარნეტი – სალამურის ტიპის ხის ენაკიანი ჩასაბერი საკრავი.

⁴ ტამბურინი – დასარტყმელი მუსიკალური ინსტრუმენტი, მცირე ზომის ცილინდრული დაფდაფის სახეობა.

⁵ „აყა მირ ფათაჰი იყო თავრიზის მოჯთაჰედი (შიიტი კანონმცოდნე, მაღალი რანგის სასულიერო პირი) 1828 წელს რუსეთ-ირანის მეორე ომის დროს ის დაეხმარა რუსებს თავრიზის დამორჩილებაში, რის შემდეგაც თბილისში

(მაღალი სასულიერო პირის) მიერ დაარსებული ბაღი, რომელსაც მის პატივსაცემად მუშთაიდი უწოდეს. გაზაფხულის ყოველ საღამოს ის თბილისური საზოგადოების თავშეყრის ადგილია; მაგრამ ამჟამად სიცხემ ყველა მთებისკენ გაყარა და ბაღში კაციშვილს ვერ ნახავ. საზაფხულო კურორტებს შორის ყველაზე პოპულარული ქალაქიდან სამხრეთ-დასავლეთით მხოლოდ ერთი მილის⁶ მანძილზე მდებარე კოჯორია; მაგრამ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი უფრო შორს, ბორჯომის ან აბასთუმნის ტყეების სიმყუდროვეში მიდის. როგორც ჩანს, ახლომდებარე კახეთი თავისი შესანიშნავი ადგილებით რუსების მიერ ჯერ არ არის გათვალისწინებული. (183-184)

(გერმანულიდან თარგმნა ი. ნაჭყებიამ)

გადმოსახლდა და რუსეთის ხელისუფლებისგან საჩუქრად მიიღო მიწის დიდი ნაკვეთი მტკვრის მარცხენა ნაპირზე, იმდროინდელი ქალაქის გარეთ. ნაბობებ მიწაზე მან გააშენა ბაღი, რომელიც 1853 წელს ხაზინის საკუთრებაში გადავიდა და საზოგადოებრივი გახდა. XIX საუკუნის მანძილზე ეს ბაღი თბილისელთა საყვარელი დასასვენებელი და გასართობი ადგილი იყო. ის დღესაც არსებობს და ხალხში ცნობილია „მუშთაიდის“ (დამახინჯებული მოჯთაჰედი) სახელწოდებით. 1853 წლიდან ბაღი სახაზინო საკუთრება გახდა. აქ სისტემატურად ეწყობოდა სახალხო სეირნობები, გამოფენები, სპექტაკლები. (საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა. კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მარინა ალექსიძემ, თბილისი, „არტანუჯი, 2016, 45).

⁶ 1 მილი = 1,61 კმ-ს. მაქს ფონ თელმანი უზუსტობას უშვებს, რადგან კოჯორი სატრანსპორტო თბილისიდან 21,13 კმ-ით, სწორი ხაზით – 9 კმ-ით არის დაცილებული.